

## შეტყობინება მედიისთვის

თბილისი, 18 სექტემბერი, 2015

### ევროკავშირი საქართველო-სომხეთის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულებს ასახელებს

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები შერჩეულია. გამარჯვებული პროექტები ოფიციალურად დასახელდება საგრანტო კონტრაქტების ხელმოწერის ცერემონიის დროს დილიჯანში, სომხეთში, 2015 წლის 25 სექტემბერს.

რეგიონულმა და ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანოებმა, თემებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ საქართველოს ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მხარეებიდან და სომხეთის ლორის, შირაქის და თავუშის ოლქებიდან პარტნიორული კავშირები შექმნეს, რათა სოციალური და ეკონომიკური განვითარების საერთო გამოწვევების საპასუხოდ ერთობლივი პროექტები შეემუშავებინათ. ევროკავშირის მიერ საქართველო-სომხეთის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გრანტის მისაღებად სულ წარდგენილი იყო 40 განაცხადი, რომელთა მიზანი ერთობლივი საზღვრისპირა პროექტების განხორციელებაა.

ღონისძიებას დაესწრებინ საქართველოს და სომხეთის ცენტრალური ხელისუფლების და ევროკავშირის დელეგაციების წარმომადგენლები, ასევე - გამარჯვებული პროექტების ბენეფიციარები/მთავარი პარტნიორები და მედიის წარმომადგენლები ორივე ქვეყნიდან. ღონისძიების შემდეგ გაიმართება პრესკონფერენცია და ინტერვიუების სესია ჟურნალისტებისთვის საქართველოდან და სომხეთიდან.

პრესკონფერენციამდე, 23-24 სექტემბერს, წარმატებულ აპლიკანტებს დილიჯანში გაცნობითი ტრენინგი ჩატარდება. ტრენინგის მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ რჩევებს საგრანტო კონტრაქტის შესახებ და ინფორმაციას პროექტების განხორციელებისთვის საჭირო მეთოდებზე, ფინანსურ და შესყიდვების წესებზე, ხილვადობის და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ანგარიშის მომზადების და მონიტორინგის მოთხოვნებზე და სპეციფიკურ ნაციონალურ მოთხოვნებზე ორივე ქვეყანაში. გრანტის მფლობელებისთვის ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციებიც გრანტის მენეჯმენტის თემაზე.

სომხურ-ქართული ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხი პროგრამიდან პირველია, რომლის ფარგლებშიც საგრანტო კონკურსი გამოცხადდა და გამარჯვებული პროექტები შეირჩა.

**ვიწვევთ ჟურნალისტებს მედიაღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად 2015 წლის 25 სექტემბერს, 11:00 სთ-ზე სასტუმროში Best Western Hotel, შემდეგ მისამართზე: კამოს ქუჩა 156, დილიჯანი. რეგიონული და ადგილობრივი მედიის წამომადგენლებისთვის მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება. საჭიროა აკრედიტაციის გავლა 23 სექტემბრის 15:00 სთ-მდე შემდეგ ელ-მისამართზე: [maia.edilashvili@eaptc.eu](mailto:maia.edilashvili@eaptc.eu)**

**პროგრამის შესახებ:** აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამის (EaPTC Support Programme) მიზანია ხელსაყრელი გარემო შექმნას ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამებისთვის: სომხეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო, მოლდავეთი-უკრაინა და ბელორუს-უკრაინა საზღვრისპირა რაიონებში თითოეული რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით. ასევე, იგი მიზნად ისახავს ადგილობრივი და რეგიონული სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების პროფესიული უნარების გაძლიერებას ერთობლივი საზღვრისპირა პროექტების შემუშავებისა და განხორციელებისთვის. ევროკავშირის წვლილი EaPTC-ში არის 12.5 მილიონი ევრო.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ექვს ქვეყანას: აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. ინიციატივის მიზანია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის

შორის უფრო ახლო ურთიერთობების დამყარება, მათ შორის პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ EaPTC-ის კომუნიკაციის ექსპერტს ტატიანა დერევიანკინას: [tatiana.derevyankina@eaptc.eu](mailto:tatiana.derevyankina@eaptc.eu)  
<http://www.eaptc.eu>, <https://www.facebook.com/eaptc.eu>, [https://twitter.com/EaP\\_TC](https://twitter.com/EaP_TC)  
<http://www.linkedin.com/groups/EaPTC-5109143>



პროგრამას ახორციელებს კონსორციუმი, რომლის ლიდერია Altair Asesores. 7-9, თაქთაქიშვილის ქ., ოფისი 1 თბილისი 0162, საქართველო  
tel: +995 322 36 90 74  
ელ-ფოსტა: [office@eaptc.eu](mailto:office@eaptc.eu)  
პორტალი: [www.eaptc.eu](http://www.eaptc.eu)

პროგრამას აფინანსებს ევროკავშირი

ევროკავშირი აერთიანებს 28 ქვეყანას და ამ ქვეყნების ხალხებს. ესაა უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობა, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემის, თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებებს. უკვე 50 წელზე მეტია, რაც ჩვენს კონტინენტზე ჩვენ შევქმენით მშვიდობის, დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის ზონა და ამასთანავე შევინარჩუნეთ კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტულობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირს სურს თავისი ღირებულებები და მიღწევები მეზობელ ქვეყნებსა და ხალხებს გაუზიაროს.